გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხობის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** ადრეული ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და შედეგების განხილვა მაღალკლასელებთან, მასწავლებლებთან, სოციალურ მუშაკთან, ექიმთან, ფსიქოლოგთან, და შსს-ს წარმომადგენელთან ერთად.

2. **თემატიკა: ადრეული ქორწინება.**

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:** შეხვედრების ინიციატორი იყო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში. პირველი შეხვედრა შედგა „ნუ წაართმევ ბავშვობას“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც შეუერთდა ხობის მუნიციპალიტეტის მერია.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:** ხობის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის ცენტრში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - სენაკის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით - ქ. ფოთის ტერიტორია, დასავლეთით - შავი ზღვა.
   მოსახლეობის რაოდენობა - 38962.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

   - **შიდა ფაქტორები** - პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანების მოძიება, გადაადგილების ხარჯების გათვალისწინება, შესაბამისი თემატიკის ფლაერების, ფოტო მასალის, ვიდეო რგოლების მოძიება და დიდ ეკრანზე ჩვენება.
   - **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

- **პროექტის მიზანია ნაადრევი ქორწინების სტატისტიკის შეცვლა**. კანონში გათვლისწინებულია, რომ არასრულწლოვანს არ აქვს ქორწინების უფლება და არის დასჯადი, მაგრამ არსებობს კანონის გვერდის ავლის სხვადასხვა გზები, მაგალითად ერთერთი გზაა არაოფიციალური ქორწინება, რომელიც არ ფორმდება დოკუმენტალურად, შესაბამისად ქორწინება არ დასტურდება.
  თუ სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა, რომ გათხოვილ მოსწავლეს „ხელი შეუწყოს პირადი ბედნიერების პოვნაში“, რომელსაც მის ოჯახში ვერ მიაღწევდა, რადგან ის სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილია, ქმარი კი შედარებით შეძლებულია, მაშინ ის არ აწვდის ინფორმაციას არც სოციალურ მუშაკს და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს. ფაქტობრივად ხელს აფარებს დამნაშავეს და ხდება მისი თანამზრახველი. ექიმმა სამედიცინო კუთხით გაუსვა ხაზი ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში ჯანმრთელობის პრობლემების შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს, ფსიქოლოგმა ისაუბრა მენტალურ ჯანმრთელობაზე და სიახლეების მიღებაზე ,რომელიც საკმაოდ რთულია. ფაქტის შემთხვევაში, პედაგოგებმა განაცხადეს მზაობა შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე და პრევენციის მიზნით კლასის საათის დროს, ამ საკითხის განხილვაზე. შსს-ს წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნაადრევი ქორწინების სტატისტიკა და ისაუბრა კანონით გათვლისწინებული სასჯელის ფორმებზე.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი; ადრეული ქორწინების პრევენცია.**
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** შეხვედრა ჩატარდა 5 ადმინისტრაციულ ერთეულში.
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ:** შეხვედრაში მონაწლეობდნენ ხობის მუნიციპაიტეტის 5 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მაღალკლასელები, პედაგოგები, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების საკითხებში, რომელიც უზრუნველყოფდა ფოტო-ვიდეო გადაღებას, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ექიმი და შსს-ს წარმომადგენელი.
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების საკითხებში.
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საწვავის ხარჯი,რომელიც გათვალსწინებულია ყოველთვიურად.

გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი: პროექტორი, ფოტო აპარატი,ვიდეო კამერა.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;** შედგა კომუნიკაცია გენდერზე პასუხისმგებელ პირსა და ხობის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსს შორის, რათა მერიის მიერ დაგეგმილი პროოექტის შესახებ შეეთანხმებინა განათლების სამინისტროსთვის, რაზეც მიღებულ იქნა თანხმობა. სოციალური მომსახურების ხობის სააგენტოს უფროსმა, ევექსის კლინიკის ხობის საავადმყოფოს უფროსმა, შსს-ს ხობის რაიონული ორგანიზაციის უფროსმა ასევე განაცხადეს სიტყვიერი თანხმობა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

პროექტმა პირველ რიგში ცნობიერება აუმაღლა, როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს. მოზარდების გარკვეული ნაწილი ამართლებდა ადრეულ ქორწინებას და მიზეზად ასახელებდა ოჯახში ძალადობას, ისინი ფიქრობდნენ, რომ მშობლების მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, სწორი გამოსავალი იყო ქორწინება, ამ თემის გასაშლელად გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა მოიწვია სახალხო დამცველის წარმომადგენელი. მან ბავშვებთან ისაუბრა, როგორც ნაადრევ ქორწინებაზე, ასევე ოჯახში ძალადობაზე და აუხსნა მათ, ძალადობისგან თავის დახსნის გზები.

9. **მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:** პროექტი საინტერესოდ წარიმართა და დაინტერესება იყო საკმაოდ მაღლი, მაგრამ პანდემიიდან გამომდინარე დროებით შეფერხდა. შეხვედრამ დაგვანახა საჭიროება, რომ აუცილებელია განათლების სამინისტრომ პედაგოგებს და დირექტორებს ჩაუტაროს ტრენინგები ოჯახში ძალადობაზე, ნაადრევ ქოწინებაზე და ჩაგვრაზე. მათ უნდა ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია, რათა ადვილად მიხვდნენ არის თუ არა ბავშვი ძალადობის მსხვერპლი და მიმართონ შესაბამის ზომებს.

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;** პროექტი გაგრძელდება და მოიცავს მუნიციპალიტეტში მოქმედ 27 სკოლას. სამომავლოდ გენდერული თანასწორობის საბჭო გეგმავს, გამოითხოვოს ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან დღემდე ადრეული ქორწინების შესახებ, დაადგინოს მიიღეს თუ არა მათ განათლება და უარის შემთხვევაში, შესთავაზოს ხობის მუნიციპალიტეტში მდებარე სსიპ „კოლეჯი ფაზისის“ უფასო კურსები, კოლეჯი გასცემს ორენოვან სერთიფიკატს და დიპლომს , ეს ყველაფერი მათ გაუადვილებს დასაქმებას.

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული

თანასწორობის საკითხებში - თამუნა სიჭინავა. ტელ: 599856069, ელ.ფოსტა: Tamuna.sichinava@khobi.gov.ge

-
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფისა და ვებ გვერდის ადმინისტრირების საკითხებში - ირაკლი შონია. ტელ: 599856063.

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ა) პროექტის განხორციელების ამსახველი ფოტო - ვიდეო მასალა და შესაბამისი ლინკი.

https://www.youtube.com/watch?v=35BEzDbl9ZE

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge